PFM
POLSKIE FORUM MIGRACYJNE

Zajęcia dla dzieci i młodzieży w Warszawie – język gruziński

ვარშავის წრეები ბავშვებისა და მოზარდებისთვის

პოლონეთში ყველა ბავშვს აქვს უფასო განათლების უფლება. ასევე არსებობს სხვადასხვა კლასგარეშე წრეები, სადაც ბავშვებს შეუძლიათ განავითარონ თავიანთი ინტერესები, ასევე დიდია კულტურული შეთავაზება ყველაზე მცირეწლოვანი და სხვა ასაკის ბავშვებისათვის .

კლასგარეშე წრეები

ვარშავაში არის ბევრი მხატვრული ცენტრი, მოსწავლე-ახალგაზრდების კულტურის სახლი, ბაღები და პარკები ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ განავითარონ თავიანთი ინტერესები, ნიჭი და ჰობი.
დაწესებულებები სთავაზობემ მეცადინეობებს:
- **მხატვრული** - თეატრალური, სიმღერა, ინსტრუმენტებზე დაკვრა, ფერწერა, ქანდაკება და ა.შ.,
- **სპორტი** - მხატვრული ტანვარჯიში, ძიუდო, ცურვა, გუნდური თამაშები და ა.შ.,
- **სამეცნიერო** - უცხო ენები, პროგრამირება, კომპიუტერული გრაფიკა და ა.შ.

კლასები, როგორც წესი, უფასოა - ჩვეულებრივ დაწესებულია მცირე გადასახადი მშობელთა საბჭოს ფონდში. ზოგ შემთხვევაში ინიშნება დამატებითი გადასახადი, მაგრამ ყოველთვის დაბალია კომერციულთან შედარებით.

როგორ ჩავწეროთ ბავშვი ასეთ მაცადინეობებზე?

1) მიღების წესდების შესაბამისად, ყოველწლიურად, მაისის დასაწყისში, საქალაქო სისტემის მეშვეობით იწყება ონლაინ ჩაწერა, რომელიც ასევე გამოიყენება საბავშვო ბაღებისა და დაწყებით სკოლებში რეგისტრაციისთვის. საჭიროა შეხვიდეთ ვებგვერდზე warszawa-pozaszkolne.pzo.edu.pl და ჩაწეროთ ბავშვის პირადი ნომერი (PESEL) და დაწესებულების დირექტორის მიერ გენერირებული პაროლი.

2) დამატებითი ჩაწერა იხსნება აგვისტოს მეორე ნახევარში. ხელახლა ჩაწერა შესაძლებელია ვებგვერდის საშუალებით warszawa-pozaszkolne.pzo.edu.pl - მაშინ შეგიძლიათ ჩაწეროთ თქვენი შვილი, თუ პირველი ტურის შემდეგ დარჩა თავისუფალი ადგილები.

3) უწყვეტი ჩაწერის ფარგლებში მშობელს ასევე შეუძლია ეწვიოს კულტურის სახლს ან სხვა დაწესებულებას, რომელიც უზრუნველყოფს კლასგარეშე აქტივობებს და ჰკითხოს ადგილების ხელმისაწვდომობის შესახებ. ბავშვს შეუძლია შეუერთდეს დაწყებულ ჯგუფებს სასწავლო წლის ნებისმიერ დროს - ჩარიცხვის ვარიანტების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ warszawa-pozaszkolne.pzo.edu.pl ჩანართში „თავისუფალი ადგილები".

კლასგარეშე აქტივობებს სთავაზობენ შემდეგი დაწესებულებები:

ბიელანი [Bielany]

– ბიელანის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი centrumszegedynska9a.pl
– მოსწვლე-ახალგაზრდების კულტურის სახლი „ბიელანი", mdkbielany.pl
– მარია გვიზდაკის სახელობის, mdkandersena.edupage.org

მოკოტოვი [Mokotów]

– მოსწვლე-ახალგაზრდების კულტურის სახლი „მოკოტუვ" , mdk-mokotow.pl
– კლასგარეშე მუშაობის წრე „175", ognisko175.edu.pl
– კლასგარეშე მუშაობის წრე „70", opp70.pl

ოხოტა [Ochota]

– მოსწვლე-ახალგაზრდების III ბაღი ogrodjordanowski3.szkolnastrona.pl
– სკოლათაშორისი სპორტული ცენტრი N7, mosochota.waw.pl
– ახალგაზრდული საზოგადოებრივი ცენტრი „ოხოტა" mdkochota.edu.pl
– კლასგარეშე მუშაობის წრე, oppochota.superszkolna.pl (ასევე პოლონური ენის გაკვეთილები უცხოელებისთვის)

პრაღა-პოლუდნიე [Praga-Południe]

– სკოლათაშორისი სპორტული ცენტრი N2, mos2.pl
– კლასგარეშე მუშაობის წრე N1 „იორდანეკ" opp1.waw.pl
– კლასგარეშე მუშაობის წრე N 2 დრ ჰენრიკ იორდანის სახელობის 2, opp2.waw.pl
– კლასგარეშე მუშაობის წრე N 3, opp3.waw.pl
– კლასგარეშე მუშაობის წრე N 4, opp4.waw.pl

პრაღა - პულნოც [Praga-Północ]

– მოსწვლე-ახალგაზრდების VII ბაღი, oj7.edu.pl

შრუდმიეშჩე [Śródmieście]
– სკოლათაშორისი სპორტული ცენტრი N1 „აგრიკოლა“ tiny.pl/wqjm5
– ვლადისლავ ბრონიევსკის სახელობის მოსწვლე-ახალგაზრდების კულტურის სახლი, mdk.waw.pl
– ც.კ. ნორვიდის სახელობის მოსწვლე-ახალგაზრდების კულტურის სახლი „მურანივ“, mdk-muranow.waw.pl
– მოსწვლე-ახალგაზრდების სასახლე, pm.waw.pl
– სახელმწიფო სამხატვრო ცენტრი „ნოვოლიპკი“ nowolipki.edu.pl
– დედაქალაქის კულტურული განათლების ცენტრი KEN, scek.pl

ტარგუვეკ [Targówek]
– მოსწვლე-ახალგაზრდების VIII ბაღი, oj8targowek.eduwarszawa.pl

ვოლა [Wola]
– სკოლათაშორისი სპორტული ცენტრი No6, moswola.pl
– მოსწვლე-ახალგაზრდების კულტურის სახლი, mdk.zwpek.pl
– მოსწვლე-ახალგაზრდების V ბაღი, voj.zwpek.pl

ჟოლიბოჟ (Żoliborz)
– კლასგარეშე მუშაობის წრე „ჟოლიბოჟ“, oppzoliborz.waw.pl

კულტურის სახლი

ახალგაზრდების კულტურის სახლები, წრეები და ბაღები ფუნქციონირებენ დედაქალაქის განათლების სისტემაში და მათი შეთავაზება მხოლოდ ბავშვებსა და მოზარდებზეა გათვლილი, ხოლო რაიონულ საზოგადოებრივ ცენტრებს დამატებით აქვთ მდიდარი შეთავაზება უფროსებისთვის და მოხუცებისთვის. ხშირად ეს არის თანამედროვე დაწესებულებები, სადაც შეგიძლიათ ისწავლოთ უცხო ენები (ასევე პოლონურიც!), დაკავდეთ ურბანული მებაღეობით, ისწავლოთ კომპიუტერის გამოყენება, ივარჯიშოთ იოგის ან აერობიკის წრეებში ან უყუროთ თეატრალურ წარმოდგენას. მონაწილეობა ხშირად დაკავშირებულია მცირე გადასახადებთან, თუმცა არის უფასო შეთავაზებაც. სრული ინფორმაცია ვარშავის საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე nadajemykulture.pl

ადგილობრივი აქტივობის ადგილები

ვარშავაში 100-ზე მეტი ადგილობრივი აქტივობის ადგილია (MAL). მათ მართავენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიბლიოთეკები და კულტურის სახლები და მათი იდეაა შექმნან და გააძლიერონ მეზობლური კავშირები და ხელი შეუწყონ ადგილობრივ საზოგადოებრივ ცხოვრებას. ადგილობრივი აქტივობის ადგილებში (MAL) შეგიძლიათ ითამაშოთ სამაგიდო თამაშები, წაიკითხოთ წიგნი ან ერთად მოამზადოთ კერძები სამზარეულოში. ეს ადგილები ასევე ღიაა ვარშავის მაცხოვრებლების ძირეული ინიციატივებისთვის - თუ გსურთ თქვენი ქვეყნის, ენისა და კულტურის შესახებ ისტორიების გაზიარება, ადგილობრივი აქტივობის ადგილები (MAL) შესანიშნავია ამისთვის!
აქ ნახავთ ასეთი ადგილების რუკას: um.warszawa.pl/waw/sasiedzka/lista-mal.

ღონისძიებები ოჯახებისთვის და ბავშვებისთვის - ფესტივალები, პიკნიკები, ვორქშოფები

ღირს გაეცნოთ უფასო ღონისძიებებს, რომლებსაც ხშირად აწყობენ რაიონული სამსახურები ან კულტურული დაწესებულებები, მაგალითად მუზეუმები. არსებობს რამდენიმე ვებსაიტი, სადაც ერთ ადგილას მოცემულია ინფორმაცია მსგავსი შეთავაზებების შესახებ:

- waw4free.pl/warszawa-darmowe-dzieci
- miastodzieci.pl/warszawa
- kidsinthecity.pl (სერვისი ინგლისურ ენაზე)
- warszawa19115.pl/szukasz-informacji/kultura-turystyka-sport/wydarzenia-kulturalne (ქალაქის საინფორმაციო პორტალი)

დამატებითი შემოთავაზება

- ვარშავაში ბავშვებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ადგილია კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი. ღირს თქვენი შვილის კოპერნიკის კლუბში ჩაწერის განხილვა (ღირებულება: 220 PLN წელიწადში). წევრობის ფარგლებში ბავშვს და ზრდასრულს (არაა საჭირო მითითება) აქვს კოპერნიკის ცენტრში შეუზღუდავი შესვლის უფლება მთელი წლის განმავლობაში.
- AKS Zły - არის ფეხბურთის ვარჯიშები ბავშვებისთვის, რომლებსაც ატარებს საფეხბურთო კლუბი მრავალი წლის განმავლობაში ვარშავაში მიგრანტებისა და ლტოლვილების მხარდასაჭერად: akademia.aks-zly.pl.
- ახალგაზრდებისთვის საინტერესო შეთავაზება მოამზადა INCLSV BUZZ-მა. ეს ადგილი ღიაა ახალგაზრდა ლტოლვილების, რელიგიური და კულტურული უმცირესობებისთვის: facebook.com/inclusive.buzz.
- მულტიკულტურული ცენტრი არის ადგილი, რომელიც მხარს უჭერს მიგრანტების ინტეგრაციას ვარშავის მაცხოვრებლებთან. იქ ხშირად იმართება ბავშვებისთვის უფასო მეცადინეობები – ღირს ვებსაიტზე centrumwielokulturowe.waw.pl/kalendarz

---

UNIA EUROPEJSKA
FUNDUSZ AZYLU, MIGRACJI I INTEGRACJI

POLSKIE FORUM MIGRACYJNE

უსაფრთხო სადგური
პროექტი თანადაფინანსებულია
თავშესაფრის, მიგრაციისა და
ინტეგრაციის ფონდის ეროვნული
პროგრამის ფარგლებში

Fundacja Polskie Forum Migracyjne
ul. Szpitalna 5/14, Warszawa
+48 692 913 993
info@forummigracyjne.org
www.forummigracyjne.org

წარდგენილ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორი. ევროკომისია და შინაგან საქმეთა და ადმინისტრაციის სამინისტრო არ აგებენ პასუხს მოწოდებული ინფორმაციის გამოყენებაზე.